16/03/2026

MES 9 26 0000314927

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა:
გეგი აბრამიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:
გიორგი ჩავლეიშვილი - სკოლის დირექტორი;
ქეთევან ბაცანკალაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე;
გიორგი მოდებაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა-გიმნაზია:
მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი ხაჩიძე - სკოლის რექტორი;
დეკანოზი პავლე ცერცვაძე - აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლა:
ფიქრია დემეტრაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლა:
რუსუდან ლომიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლა:
ნინო გარსევანიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლა:
ანნა ჩახნაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლა:
გალინა ხუციშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლა:
მანანა სონგულია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა:
ირმა ფუხაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა:
ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 02 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.2026 წლის 22 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N51119 კორესპონდენციის განხილვა;
3.2025 წლის 15 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N1783102 კორესპონდენციის განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

7.სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9.სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10.სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 დეკემბრის N1755068 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 75 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 58.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია. ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა ერთ-ერთი რეკომენდაციით, კერძოდ, დაასაქმა თუ არა სკოლამ ენისა და მეტყველების თერაპევტი.
სკოლის დირექტორის, გეგი აბრამიშვილის განმარტებით, ენისა და მეტყველების თერაპევტის შტატის დამატების საკითხი შეთანხმების ეტაპზე იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. მისი თქმით, აღნიშნული შეთანხმების მიღწევის შემდეგ სკოლა გამოაცხადებდა შესაბამის ვაკანსიას. დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ, საჯარო რეესტრში განახლდა სკოლის სახელწოდება; მუნიციპალიტეტისგან მიიღეს დასტური, რომ მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიის შემოღობვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:44

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის (ს/კ: 228927481) მონიტორინგთან დაკავშირებით, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლამ უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრში და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება

სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და ენისა და მეტყველების სპეციალისტის დასაქმება. 2026 წლის დეკემბერში უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერის შესაბამისად სკოლის ტერიტორიის ფართობის შემოსაზღვრა და საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახული სკოლის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანის მტკიცებულებების წარმოდგენა, შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. 2026 წლის 22 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N51119 კორესპონდენციის განხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, საბჭოს წინაშე წარადგინა 2026 წლის 22 იანვარს ცენტრში შემოსული კორესპონდენცია, კერძოდ, მისი თქმით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) 2026 წლის 22 იანვარს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოვიდა N51119 წერილი, რომელიც ეხებოდა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლის საკითხს, კერძოდ, სისტემის მიერ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მოსწავლის მე-2 კლასში დაბრუნებისა და მისთვის სტატუსის შეჩერების შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირკვეოდა, რომ მშობლის განცხადების საფუძველზე, მოსწავლეს, სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N2/216 ბრძანების საფუძველზე, მე-2 კლასში შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი, თუმცა აღნიშნული ფაქტი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool)არ იყო ასახული და სტატუსშეჩერებული მოსწავლე, სკოლამ გადაიყვანა კლასიდან კლასში. იმ დროისთვის, სისტემაში, მოსწავლე ფიქსირდებოდა მე-3 კლასის აქტიურ მოსწავლედ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, სკოლას ცენტრმა მოსთხოვა წერილის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წარმოედგინა დეტალური განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში და აგრეთვე მტკიცებულებები (არსებობის შემთხვევაში).
მიმდინარე წლის 3 თებერვალს სკოლამ N109862 კორესპონდენციით ცენტრში წარმოადგინა:

- განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში;
- ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებ;
- მშობლის განცხადება მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით;
- ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ;
- სკოლის დაწყებითი საფეხურის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი სადაც განმარტებულია მოსწავლის შემთხვევა;
- დირექტორის ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან გაგზავნილი წერილები.

სკოლამ ზემოაღნიშნულ წერილში აგრეთვე განმარტა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მიწურულს, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სიების დაზუსტების მიზნით, სკოლაში განხორციელდა მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც მოხდა თითოეულ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების სიის შედარება მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირებულ

მოსწავლეთა სიებთან. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მე-3 კლასში ირიცხებოდა მოსწავლე, რომელსაც შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N2/216 ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, შეჩერებული ჰქონდა მოსწავლის სტატუსი. თუმცა, ბრძანების გამოცემის შემდეგ, მართვის საინფორმაციო სისტემაში არ მომხდარა სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლამ, დაწყებითი საფეხურის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, უკვე გაასწორა ტექნიკური ხარვეზი შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2025 წლის 04 ივლისის „II-XI კლასის მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ“ N02/34 ბრძანების დანართში; სიიდან ამოიღეს აღნიშნული მოსწავლე. შეცდომის აღმოჩენისთანავე, სკოლამ თავადვე მიმართა წერილით სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და ითხოვა ხარვეზის აღმოფხვრაში დახმარება, კერძოდ, მოსწავლის მე-2 კლასის მოსწავლეთა ბაზაში გადაყვანა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისთვის სტატუსის შეჩერება და შესწორებული ინფორმაციის ასახვა. დაწესებულებამ ასევე გაატარა ზომები ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერის მიმართ (მიეცა მკაცრი გაფრთხილება), რომელსაც ევალებოდა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

გარდა ამისა, სკოლაში განისაზღვრა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელი ორი პირი, რომელთაგან ერთი უშუალოდ ადმინისტრირებას გაუწევს ელექტრონულ ბაზას, ხოლო მეორე გააკონტროლებს ბაზაში სკოლის სახელით განხორციელებულ ქმედებებს. (იხ. საფუძვლები).

ცენტრის წარმომადგენლის თქმით, ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ცენტრმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სკოლაში მონიტორინგის განხორციელება, რადგან სკოლამ გამოგზავნილი დოკუმენტებით და განმარტებით ნათლად ასახა ვითარება. ცენტრის წარმომადგენლმა აქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულებამ მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით გაატარა პრევენციული ღონისძიებები და შეიმუშავა მექანიზმი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გაეტანა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება 2026 წლის 22 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N51119 კორესპონდენციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3. 2025 წლის 15 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N1783102 კორესპონდენციის განხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, საბჭოს წინაშე წარადგინა 2026 წლის 22 იანვარს ცენტრში შემოსული კორესპონდენცია, კერძოდ, მისი თქმით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) 2025 წლის 15 დეკემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოვიდა N1783102 წერილი, რომელიც ეხებოდა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის, 2025 წლის 17 ნოემბრის N1621745 კორესპონდენციას, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის საკითხს, კერძოდ, სისტემის მიერ ზოგადი განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მოსწავლის მე-7 კლასში დაბრუნებისა და მისთვის სტატუსის შეჩერების შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირკვეოდა, რომ მოსწავლეს 2022 წლის 30 დეკემბრის N2-50 ბრძანების საფუძველზე მე-7 კლასში შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი, თუმცა არ მომხდარა ამ ფაქტის ასახვა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). სამი სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლას მოსწავლე გადაყავდა კლასიდან კლასში. ამ ეტაპზე სისტემაში მოსწავლე ფიქსირდებოდა მე-10 კლასის აქტიურ მოსწავლედ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, ცენტრმა სკოლას გაუგზავნა კორესპონდენცია, დაწესებულებას ცენტრში წარმოედგინა დეტალური განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტთან მიმართებით და აგრეთვე მტკიცებულებები (არსებობის შემთხვევაში). მიმდინარე წლის 20 იანვარს სკოლამ N42501 კორესპონდენციით წარმოადგინა განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტთან მიმართებით, ასევე ბრძანებები სტატუსის შეჩერებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ, წერილები რესურსცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ბრძანება საქმისმწარმოებლის განთავისუფლების შესახებ, კლასის დამრიგებლის საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანება და სხვა. სკოლამ ზემოაღნიშნულ წერილში აგრეთვე განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი სკოლისთვის გაურკვეველი მიზეზის გამო მოხდა და მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით შეიმუშავა დამატებითი მექანიზმი, კერძოდ, რექტორის ბრძანებით, მონაცემთა ბაზებისა და დამრიგებლების და მოსწავლეების პირადი საქმეების მონიტორინგი დაავალა აღმასრულებელ დირექტორსა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს. ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ცენტრმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სკოლაში მონიტორინგის განხორციელება, ვინაიდან სკოლამ, ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტებითა და განმარტებით ნათლად ასახა ვითარება.

ცენტრის წარმომადგენლმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულებამ მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით გაატარა პრევენციული ღონისძიებები და შეიმუშავა მექანიზმი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გატანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, 2025 წლის 15 დეკემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N1783102 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

4. სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე (ცვლილება: 2024 წლის 28 მაისი N587626 ოქმის მე-8 ნაწილი), დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტოში ცენტრში წარმოედგინა შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ვიდეო-კამერების დამონტაჟების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების დაცვის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის გამოკვრის და სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვისა და სკოლის ვებ-გვერდის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდის შექმნის მტკიცებულება.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვიდეო-კამერების დამონტაჟების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების დაცვის (სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვების სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის აღრიცხვა, წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზის გახორციელება) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის გამოკვრის და სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვის მტკიცებულებები. თუმცა, შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესის მიმდინარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ფიქრია დემეტრაშვილმა, აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს უკვე მიმართეს და ელოდნენ შემდგომ რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის გამოკვრა და სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეო-კამერების დამონტაჟება, სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვების სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება და წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზის გახორციელება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:07

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის აგვისტოსა, ხოლო შეუსრულებელი სხვა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

5. სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე (ცვლილება: 2024 წლის 28 მაისი N587626 ოქმის მე-16 ნაწილი), დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბერში ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, დოკუმენტი, რომელშიც სასკოლო დონეზე იქნებოდა დარეგულირებული წესები (მაგ. თანამშრომელთათვის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების გაცნობა, საკითხების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელიც განეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, შესაბამის საკითხში დაწესებულების პერსონალის ცნობადობის ამაღლება ა.შ.), პანდუსის მოწყობის ან სსსმ მოსწავლეთა გადაადგილებისთვის სხვა საშუალებების მოწყობისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, რუსუდან ლომიძემ, აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის ჰქონდათ ხარჯთაღრიცხვა, თუმცა აღნიშნული დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, რისი ფინანსური რესურსიც სკოლას არ ჰქონდა და აპირებდნენ მიწერას შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ კიბის დახრილობის

გამო, ტექნიკურად ვერ მოეწყობოდა პანდუსი და ლიფტის დამონტაჟების ფინანსური რესურსი სკოლას არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, პანდუსის ან სსსმ მოსწავლეთა გადაადგილებისთვის სხვა საშუალებებისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა, დოკუმენტი, რომელშიც სკოლას სასკოლო დონეზე უნდა დაერეგულირებინა წესები) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. ასევე, საბჭომ მიიჩნია, რომ ვადის ცვლილების საჭიროება იყო იმ დოკუმენტის წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელშიც სკოლას სასკოლო დონეზე უნდა დაერეგულირებინა წესები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან და შენობის ადაპტირებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის/მტკიცებულების მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა, ხოლო სხვა შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

6. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ავტორიზაციის პროცესში იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 სექტემბრის N1103539 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე (ცვლილება: 2024 წლის 28 მაისი N587626 ოქმის მე-10 ნაწილი), დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტოში ცენტრში წარმოედგინა ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, პერსონალური მონაცემების დაცვის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების დოკუმენტები, №41/ნ ბრძანების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მტკიცებულებები სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესის ერთიანი დოკუმენტი, სპორტულ დარბაზში ადაპტირებული შესასვლელის (პანდუსი) და გასახდელი ოთახების მოწყობისა და სკოლის ვებ-გვერდის შექმნის მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნინო გარსევანიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი და ელოდნენ სხვა პასუხისმგებელი უწყებების მხარდაჭერას. მისი თქმით, მოაწყეს გასახდელი ოთახები, თუმცა კიბის დახრილობა არ იძლეოდა საშუალებას, რომ მოწყობილიყო პანდუსი. აქვე, დასძინა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი შემუშავებული ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, სპორტულ დარბაზში ადაპტირებული შესასვლელის (პანდუსი), ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების განმსაზღვრელი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების დოკუმენტები, №41/ნ ბრძანების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მტკიცებულებები სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესის ერთიანი დოკუმენტის სახით შემუშავება, გასახდელი ოთახების მოწყობისა და სკოლის ვებ-გვერდის შექმნის მტკიცებულებები), საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1103539 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:19
დასრულების დრო: 15:22

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 07 სექტემბრის N1103539 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან და შენობის ადაპტირებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის აგვისტოსა, ხოლო სხვა შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

7. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფის მტკიცებულებები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფის მტკიცებულებები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ანნა ჩახნაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ დაასაქმა ექიმი, შეათანხმეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოიპოვეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში მითითებული იყო სკოლაში გარკვეული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ და დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა დაწესებულებამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

სკოლის დირექტორის თქმით, მხარდაჭერისთვის მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოებისთვის და მისი ინფორმაციით, აღნიშნული პრობლემები უმოკლეს დროში აღმოიფხვრებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფის მტკიცებულებები და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა), საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 15:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა, ხოლო სხვა შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

8. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები.

დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, გალინა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებისთვის პროექტი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ფინანსური რესურსი დასკვნის მოპოვებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 15:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 23 ოქტომბრის N1421424 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

9. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა მასწავლებელთა პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, სპორტულ დარბაზთან მისასვლელ დერეფანში უსაფრთხო გარემოს მოწყობის, ინკლუზიური გარემოს შექმნის, შენობის მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად პანდუსის მოწყობის, ვებ-გვერდის შექმნისა და დოკუმენტაციის ატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც, ერთი შენობა არადამაკმაყოფილებელი და დასანგრევია. აღნიშნულში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. სპორტული დარბაზის დერეფანთან დაკავშირებით, სკოლამ სპორტულ დარბაზთან მისასვლელ დერეფანში მოხსნა ჩამონგრეული კედელი, შეფუთა კედლებზე ჩამოწეული განათების ხაზები და ვებ-გვერდზე ატვირთა ინფორმაცია.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შენობის ადაპტირების მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მანანა სონგულიამ, აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი ფინანსური რესურსი, ასევე არ ჰქონდათ მოწყობილი პანდუსები.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო მასწავლებელთა ცნობებთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის თქმით ყველა მასწავლებელს ჰქონდა სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები პირად საქმეებში და გადააგზავნიდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის ადაპტირების მტკიცებულებები, მასწავლებელთა პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:39
დასრულების დრო: 15:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა, ხოლო სხვა შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

10.სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელს პოზიცია არ დაუფიქსირებია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:47
დასრულების დრო: 15:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა, ხოლო სხვა შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს 2027 წლის მარტის თვეში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:53 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე